<u>**დანართი #1**</u>

ღია კონკურსის პროგრამა, პირობები, კანდიდატის შეფასების ფორმა და ჩატარების გრაფიკი

<u>**ვაკანტური თანამდებობა**</u>

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სამუშაო განკვეთი: სრული
ანაზღაურება: 1000 ლარი (დარიცხული თანხა)
გამოსაცდელი ვადა: 6 თვე

<u>**საკონკურსო კომისიის მისამართი**</u>

მისამართი: 0198 თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №99
ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge
ტელეფონი: 116001

<u>**ძირითადი, სპეციალური და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები**</u>

სავალდებულოა: უმაღლესი განათლება.
სავალდებულოა: 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება სამშენებლო/საინჟინრო მიმართულებით;
სავალდებულოა: კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office: Word, Excel, Power Point, Outlook);
სავალდებულოა: ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
სასურველია: ინგლისური ენის ცოდნა (B1 დონე); რუსული ენის ცოდნა (B1 დონე)

უნარ-ჩვევები:

გუნდური მუშაობა;
მაღალი პასუხისმგებლობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება;
კომუნიკაბელურობა;
კონფიდენციალობა, მოწესრიგებულობა და პუნქტუალობა;
გუნდური მუშაობის უნარი;
სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
დისციპლინირებულობა და საიმედობა.

სამართლებრივი აქტების ცოდნა

- საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანება.

- ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმების, წესების, ტექნიკური რეგულაციების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების ცოდნა“

<u>ფუნქციები</u>

- ცენტრის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული, სასაწყობე და რეგიონულ განყოფილებებში არსებული ლაბორატორიული შენობების და მისი მიმდებარე ტერიტორიების მდგომარეობის შემოწმება. დეფექტური აქტების შედგენა, შესასრულებელი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მოცულობების და ხარჯთაღრიცხვის შედგენა, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევა, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტების, მიღება-ჩაბარების აქტების და ინსპექტირების აქტების შედგენა;
- ცენტრის ადმინისტრაციულ და რეგიონულ განყოფილებებში არსებულ ლაბორატორიულ შენობებში არსებული გათბობა-გაგრილების და კომუნალური სისტემების, ლიფტების, ელექტროაპარატურის, გენერატორების, დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება.
- ბუნებრივი აირის, ელ-ენერგიის და წყლის მომწოდებელ კომპანიებთან, ქ. თბილისის და რეგიონულ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობა.
- ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების (სამშენებლო-სარემონტო, ტექნიკური) შესრულების კონტროლი. გაწეულ მომსახურებებზე და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტი და სხვა) და მომსახურე კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება;
- ტექნიკური უსაფრთხოების, ელექტროუსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობა.

<u>კონკურსის წესი</u>

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია და შეავსონ აპლიკაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა ატვირთოს:
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი);
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;
- მიუთითოს ერთი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.
დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

<u>კონკურსის ეტაპები</u>

- განცხადებების გადარჩევა
- ზეპირი დავალება
- გასაუბრება

<u>გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა</u>

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 3 თვის ვადაში.

კანდიდატის შეფასების ფორმა

ცოდნა და გამოცდილება

1	განათლება	1	2	3	4	5
2	პროფესიული ცოდნა, გამოცდილება	1	2	3	4	5

ზოგადი კომპეტენციები

1	ანალიტიკური აზროვნება	1	2	3	4	5
2	შედეგებზე ორიენტაცია	1	2	3	4	5
3	კომუნიკაციის უნარი	1	2	3	4	5

4	მისწრაფება (მუშაობის სურვილი, მოტივაცია)	1	2	3	4	5
5	გუნდური მუშაობა	1	2	3	4	5

საერთო შეფასება (ქულების ჯამი)	

კანდიდატის დამატებითი დახასიათება/კომენტარი									
1	მიუღებელი	2	საშუალოზე დაბალი	3	საშუალო	4	კარგი	5	ძალიან კარგი

გადაწყვეტილება: მივიღოთ ☐ ☐ არ მივიღოთ

კომისიის წევრი: _____